**განკარგულება - N 19.89.118**
**30 / იანვარი / 2019 წ.**

**„ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, დელისის ქუჩა №3-ში (საკადასტრო კოდი: №01.10.15.006.048) მდებარე მიწის ნაკვეთზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისთვის განაშენიანების ინტენსივობის კ-2 კოეფიციენტის მოსაკრებლის გადახდის განწილვადებასთან დაკავშირებით შეთანხმების დადების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 28 სექტემბრის №36.17.694 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე**

„ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, დელისის ქუჩა №3-ში (საკადასტრო კოდი: №01.10.15.006.048) მდებარე მიწის ნაკვეთზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისთვის განაშენიანების ინტენსივობის კ-2 კოეფიციენტის მოსაკრებლის გადახდის განწილვადებასთან დაკავშირებით შეთანხმების დადების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 28 სექტემბრის №36.17.694 განკარგულებით (შემდგომში - განკარგულება) „ქ. თბილისში, დელისის ქ. №3-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი შენობისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 5 ივლისის №1378 განკარგულებით და „ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, დელისის ქუჩა №3-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.10.15.006.048) სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 20 ივნისის №1-1447 ბრძანების (შეტანილია ცვლილება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 20 ივნისის №1-1447 ბრძანებაში ცვლილების შეტანისა და ნაწილობრივ ბათილად ცნობის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 30 აგვისტოს №1-1919 ბრძანებით) მე-3 პუნქტის შესაბამისად გაცემული სპეციალური (ზონალური) შეთანხმებისთვის გადასახდელი განაშენიანების ინტენსივობის კ-2 კოეფიციენტის მოსაკრებლის გადახდა განწილვადდა 2019 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით, ამავე განკარგულების დანართი 1-ის შესაბამისად და განკარგულების დანართი 2-ის შესაბამისად, 2017 წლის 9 ოქტომბერს დაიდო შეთანხმება იბა „დელისის 3“-სა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას შორის (შემდგომში - შეთანხმება).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 22 იანვრის №19/0119022776-01 და 2018 წლის 3 დეკემბრის №19/01183372772-01 განცხადებებით მიმართა იბა „დელისის 3“-ის (ს/კ 205198622) თავმჯდომარემ გიზო გოგოძემ (პ/ნ 01003001523) და მოითხოვა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასან 2017 წლის 9 ოქტომბერს დადებულ შეთანხმებაში ცვლილების შეტანა, კერძოდ, მოსაკრებლის გადახდის განწილვადება განახლებული გრაფიკის შესაბამისად.

„ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის $17^2$ მუხლის თანახმად, ქალაქ თბილისში – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას უფლება აქვს, შენობა-ნაგებობის მშენებლობის დროულად დასრულების, ქალაქის განვითარებისა და მისი იერსახის გაუმჯობესების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის გადამხდელთან, რომელსაც, 2017 წლის 1 ივნისის მდგომარეობით, აქვს მოსაკრებლის გადახდის ვალდებულება, მოსაკრებლის გადამხდელის წერილობითი განცხადების საფუძველზე დადოს შეთანხმება მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გაზრდისას სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის გადახდის განაწილვადების თაობაზე. აღნიშნული განცხადებით, მოსაკრებლის გადამხდელი კისრულობს შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ განცხადების უფლებამოსილი ორგანოსათვის მოსაკრებლის გადამხდელის მიერ განსაზღვრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 2020 წლის 1 იანვრისა, წარდგენისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილების ვალდებულებას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შენობა-ნაგებობის მშენებლობის დროულად დასრულების, ქალაქის განვითარებისა და მისი იერსახის გაუმჯობესების მიზნით, მიზანშეწონილად მიაჩნია შევიდეს ცვლილება განკარგულებაში და სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის გადახდა განწილვადდეს იბა „დელისის 3-ის“ (ს/კ 205198622) თავმჯდომარის გიზო გოგოძის (პ/ნ 01003001523) მიერ წარდგენილი, განახლებული გრაფიკის შესაბამისად, 2019 წლის 27 დეკემბრის ჩათვლით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. „ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, დელისის ქუჩა №3-ში (საკადასტრო კოდი: №01.10.15.006.048) მდებარე მიწის ნაკვეთზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისთვის განაშენიანების ინტენსივობის კ-2 კოეფიციენტის მოსაკრებლის გადახდის განწილვადებასთან დაკავშირებით შეთანხმების დადების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 28 სექტემბრის №36.17.694 განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"ქ. თბილისში, დელისის ქ. №3-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი შენობისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 5 ივლისის №1378 განკარგულებით და „ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, დელისის ქუჩა №3-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.10.15.006.048) სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 20 ივნისის №1-1447 ბრძანების (შეტანილია ცვლილება “ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 20 ივნისის №1-1447 ბრძანებაში ცვლილების შეტანისა და ნაწილობრივ ბათილად ცნობის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 30 აგვისტოს №1-1919 ბრძანებით) მე-3

პუნქტის შესაბამისად გაცემული სპეციალური (ზონალური) შეთანხმებისათვის გადასახდელი განაშენიანების ინტენსივობის კ-2 კოეფიციენტის მოსაკრებლის გადახდა განწილვადდეს 2019 წლის 27 დეკემბრის ჩათვლით, დანართი 1-ის შესაბამისად."

2. შევიდეს ცვლილება „ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, დელისის ქუჩა №3-ში (საკადასტრო კოდი: №01.10.15.006.048) მდებარე მიწის ნაკვეთზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისთვის განაშენიანების ინტენსივობის კ-2 კოეფიციენტის მოსაკრებლის გადახდის განწილვადებასთან დაკავშირებით შეთანხმების დადების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 28 სექტემბრის №36.17.694 განკარგულების საფუძველზე იბა „დელისის 3"-თან (ს/კ 205198622) დადებულ შეთანხმებაში წინამდებარე განკარგულების დანართი 2-ის შესაბამისად.

3. „ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, დელისის ქუჩა №3-ში (საკადასტრო კოდი: №01.10.15.006.048) მდებარე მიწის ნაკვეთზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისთვის განაშენიანების ინტენსივობის კ-2 კოეფიციენტის მოსაკრებლის გადახდის განწილვადებასთან დაკავშირებით შეთანხმების დადების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 28 სექტემბრის №36.17.694 განკარგულების დანართი 1 ჩანაცვლდეს წინამდებარე განკარგულების დანართი 1-ით.

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს ილია ელოშვილს.

5. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

კახა კალაძე

დანართი №1

| | მოსაკრებლის გადახდის თარიღი | გადასახდელი თანხის ოდენობა |
|---|---|---|
| 1 | 27.05.2019 | 175 760,5 |
| 2 | 27.06.2019 | 175 760,5 |
| 3 | 27.07.2019 | 175 760,5 |
| 4 | 27.08.2019 | 175 760,5 |
| 5 | 27.09.2019 | 175 760,5 |
| 6 | 27.10.2019 | 175 760,5 |
| 7 | 27.11.2019 | 175 760,5 |
| 8 | 27.12.2019 | 175 760,67 |
| | ჯამი | 1 406 084.17 ლარი |